პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 52 (18594) ხუთშაბათი, 3 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

გარემოს კანონიერ ქმედებას

ეკუნარჩუნოთ სისუფთავე დედამიწას, პაერსა და წყალს — ასეთია დღეს გარემოს დაცვის საერთო-სახელმწიფო ამოცანა, რომელიც ნამდვილ სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციისათვის, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი ადამიანისათვის.

ახლა ჩვენში უდიდესი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მეცნიერული და პრაქტიკული ღონისძიებანი ხორციელდება გარემოს დაცვისა და გაჯანსაღებისათვის. გარემოს დაცვა გაწმტკიცებულია საბჭოთა ქვეყნის, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით, საკანონმდებლო აქტებით, ხუთწლედის ამოცანებით, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის არაერთი დადგენილებით, რომლებშიც მოცემულია ატმოსფერული პაერის, წყალსატევების, სასოფლო-სამეურნეო ნაგარგულთა და მცენარეულთა სამყაროს მტკიცედ დაცვა, უზრუნველყოფილია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და აღდგენა-გამრავლება.

ჩვენი ფაუნისა და ფლორის, საერთოდ გარემოს დაცვისათვის დიდად სასარგებლო პრაქტიკული სამუშაოები მიმდინარეობს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ. უკანასკნელ წლებში ბევრი სამრეწველო საწარმო გაიტანეს თბილისიდან, სხვა სამრეწველო ცენტრებიდან, ბევრგან ფბრიკებსა და ქარხნებში დაიდგა ისეთი ტექნოლოგიური მოწყობილობანი, დანადგარები, ღუმლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პაერის, წყლის, საერთოდ გარემოს სინმინდის შენარჩუნებას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. ზოგან სამუშაოები ნელი ტემპით მიმდინარეობს, ირღვევა სათანადო კანონმდებლობა და ამით დიდი ზიანი ადგება ჩვენს საერთო საქმეს. საშენი მასალების მრეწველობის შემოწმებული 14 საწარმოდან უმრავლესობა არ იყო ნესრიგში — არ იყო აირგასანმენდი დანადგარები, ხოლო სადაც იყო, ცუდად მუშაობდა. დანადგარების 30 პროცენტს არსებითად არავითარი სარგებლობა არ მოუქონდა. ამ მხრივ ნაკლოვანებანი გამოვლინდა თბილისის, რუსთავის, ტყვარჩელის, კასპის, გარდაბნის, მარნეულის, საგარეჯოს, გურჯაანის და ზოგიერთ სხვა რეგიონის საწარმოებში.

ატმოსფერული პაერის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის მოუგვარებლობის ერთ-ერთი მიზეზია დაგეგმილ ღონისძიებათა არასაკმარისი დაფინანსება. მაგალითად, რუსთავის საშენ მასალათა კომბინატს რეკონსტრუქციისათვის განკუთვნილი თანხა შემოწმების დროს მიღებული არ ჰქონდა. ისეც ხდება, როცა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი აირსაწმენდი და მტვერსასრუტი დანადგარების მშენებლობა და არსებულის რეკონსტრუქცია.

განა ასეთი მდგომარეობა შესაწყნარებელია? რას აკეთებენ, როგორ მოქმედებენ და რა ორგანიზაციულ მუშაობას ეწევიან ადგილობრივი საბჭოები ასეთ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად? სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომი, მუდმივი კომისია, დეპუტატი საკმარისად ვერ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას და არ ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ატმოსფერული პაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულების მიმდინარეობისადმი, დამრღვევთა მიმართ სათანადო სანქციების გამოყენებისადმი.

პარტიის სასურსათო პროგრამის შესრულების უთუოდ კარგი რეზერვია ჩვენს წყალსატევებსა და მდინარეებში თევზის რესურსების დაცვისა და კვლავწარმოების შემდგომი სრულყოფა, კანონმდებლობის ზუსტად დაცვა. მაგრამ შემოწმებით გამოირკვა, რომ ამ საქმეში ფეხმოკიდებულია ისეთი მავნე მოვლენები, როცა მტაცებლურად სპობენ თევზის რესურსებს, ბრაკონიერობენ, არღვევენ თევზჭერის წესებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ადგუნური ნაწლავს მდინარეებს, აფეთქებს ამონალს, რითაც ათიათეული ღორჯოს დაჭერისათვის ათიათასობით ლიფსიტას ანადგურებს და ამით უსინდისოდ სპობს სურსათის ამ ძვირფას რეზერვს.

ერთი სიტყვით, წყალსატევებსა და მდინარეებში თევზჭერის წესების და, საერთოდ, ამ მხრივ კანონმდებლობის დამრღვევები ძირითადად ბრაკონიერები და სპეკულანტები არიან, რომელთა უკან დგანან გამომძალველები, მექრთამეები და სხვა ჯურის დამნაშავეები.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველივე ამას გულდამშვიდებით შესცქერიან და ზოგჯერ ხელსაც კი უწყობენ ისინი, ვისაც ამ საქმეში წესრიგის დაცვა ევალება. ამ მხრივ საქმის სასიკეთოდ ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ მაიაკოვსკის, ახალციხის, ზუგდიდის, აბაშის და ზოგიერთი სხვა რაიონის თევზდაცვის ორგანოები. იმის ფაქტებიც არის, როცა რეგიონებში ამ ორგანოთა მუშაკები თვითონ არღვევენ წესს, უკანონოდ იჭერენ თევზს, შეგნებულად თვალს არიდებენ ბრაკონიერთა თვითნებობას და, ცხადია, პასუხისგებაში არ აძღვევენ დამნაშავეებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მუშაკი სპეკულანტობასა და მექრთამეობაშიც იქნა შემჩნეული.

ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელობის დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად რესპუბლიკის მდინარეები და წყალსატევები ბინძურდება ჩამდინარე წყლებით, რაც დიდ ზიანს აყენებს თევზის რესურსებს. მაგალითად, რუსთავის თბომეურნეობის მიერ ნავთობპროდუქტებით მდინარე მტკვრის გაჭუჭყიანების შედეგად ტონობით თევზი დაიღუპა. თევზდაცვის ინსპექციამ კი ამ მეურნეობის ხელმძღვანელობა მხოლოდ ადმინისტრაციული წესით დააჯარიმა და მასალები არ გადაეცა სამართალდამცავ ორგანოებს. საშენდი ნაგებობების უქონლობით ან არსებულის გაუმართაობით ბინძურდება წყალსატევები სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, გაგრაში, კასპში, ჩოხატაურში... ამ ფაქტებს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ზოგიერთი სატბორე მეურნეობის ხელმძღვანელთა უყურადღებობით იღუპება დიდძალი ლიფსიტა (ქოლობნის, მაღლაკის, კახაბრის, ნატანების თევზმეურნეობები), ნათელი გახდება ის, თუ როგორი ქმედითი, პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება გვმართებს იმისათვის, რომ აღიკვეთოს დანაშაულებრივი დარღვევები ჩვენი ფლორისა და ფაუნის დაცვისა და შემდგომი განვითარების საქმეში.

ატმოსფერული პაერის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის, სატბორე მეურნეობების და მდინარეების მოვლა-პატრონობის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანი ძირითადად იმის ბრალია, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასკომები, მუდმივი კომისიები, დეპუტატები, ადმინისტრაციული ორგანოები პრაქტიკულ საქმეებს არ ახორციელებენ, საჭირო სანქციებს არ მიმართავენ ამ საქმეში კანონმდებლობის სწორად გამოყენებისათვის, დარღვევების აღკვეთისათვის. ასე ხდება ზოგიერთი რაისაბჭოს აღმასკომში, როცა უყურადღებოდ ტოვებენ პროკურატურის წარდგინებებს თევზის რესურსების დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე.

ბუნების ამ სიკეთისადმი უსულგულობა უაღრესად სერიოზული დარღვევაა, იგი საკუთარი თავისადმი, ჩვენ გარშემო მყოფი ადამიანებისადმი, სახელმწიფო კანონებისადმი ნამდვილად დანაშაულებრივი დამოკიდებულების გამოვლინება გახლავთ.

კანონს, წესსა და რიგს, ჩვენს თანამედროვე ჯანსაღ ადათებსა და ჩვეულებებს ყველა უნდა სცემდეს პატივს. ყოველივე ეს მარტო სახელმწიფო აპარატის მუშაკთა საზრუნავი როდია. ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმის სასიკეთოდ უნდა დაირაზმონ და იბრძოლონ ყველა პარტიულმა, საბჭოთა, ადმინისტრაციულმა, სამეურნეო, პროფკავშირულმა, სახალხო კონტროლის, კომკავშირულმა ორგანოებმა, ახალგაზრდობამ, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ფლორა და ფაუნა, მთა-ბარი, გარემო, მისი ხვალინდელი დღე.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ თითოეული მოქალაქე გრძნობდეს პასუხისმგებლობას ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე. თვალსაჩინივით გავუფრთხილდეთ ატმოსფერულ პაერს, წყალს, ტყეს, თითოეულ მცენარეს და საერთოდ ჩვენს გარემოს, რომელიც სიცოცხლის წყაროა დედამინაზე.

მეგობრული შეხვედრა

2 მარტს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვისა და ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარის, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სამორა მ. მაშელის შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო; მოზამბიკის მხრივ — ფრელიმოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ფრელიმოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში, მოზამბიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ჩისანო.

მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარე საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის ურთიერთობის საკითხები, რომელიც ემყარება 1977 წლის 31 მარტის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მკვიდრ საძირკველს, აგრეთვე იმსჯელეს მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემების, მათ შორის აფრიკის სამხრეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ს. მაშელმა თქვა, თუ როგორ ემზადება ფრელიმოს პარტია თავისი IV ყრილობისათვის, ილაპარაკა ამოცანებზე, რომლებიც მოზამბიკის რესპუბლიკის ხალხმა უნდა გადაწყვეტოს მოზამბიკის რევოლუციისადმი მტრული, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის წაქეზებით მოქმედი ძალების აქტივიზაციასთან დაკავშირებით, აღნიშნა, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ პარტია, მთავრობა და მოზამბიკელი ხალხი რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად და ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების შესაქმნელად. მან ყურმოგდება მადლობა მოახსენა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს და ხალხს იმისათვის, რომ დიდ დახმარებას უწევენ მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკას სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში და მხარს უჭერენ მის ბრძოლას შინაური და გარეშე რეაქციის წინააღმდეგ.

ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, რომ მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკასთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების მთავარი მიმართულება იყო და არის ის გეზი, რომ ყოველმხრივი თანამშრომლობა იქონიონ მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკასთან, მხარი დაუჭირონ ფრელიმოს პარტიის ღონისძიებებს სოციალიზმის საფუძვლების ასაშენებლად და ეროვნული დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

ი. ვ. ანდროპოვმა და ს. მაშელმა იმსჯელეს სამხრეთ აფრიკაში შექმნილი ვითარების შესახებ და აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირისა და მოზამბიკის ხალხები გადაჭრით გმობენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც ცდილობს შეარყიოს ვითარება მეზობელ აფრიკულ სახელმწიფოებში, ხელი შეუშალოს ნამბიელ ხალხს მიაღწიოს ნამდვილ დამოუკიდებლობას სვაპოს ხელმძღვანელობით. გამოთქვა მტაიცე გადაწყვეტილება კვლავაც წინააღუდგნენ სამხრეთაფრიკელი რასისტების აგრესიასა და ძირგამომთხრელ აქციებს აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების და, უწინარეს ყოვლისა, მოზამბიკის, ანგოლის და სხვა „ფრონტისპირა“ სახელმწიფოების წინააღმდეგ, ეღვაწონ ნამბიისათვის დამოუკიდებლობის მისანიჭებლად ყველა იმ გადაწყვეტილების განუხრელი შესრულების საფუძველზე, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აქვს მიღებული ნამიბიის საკითხზე, მათ შორის, უშიშროების საბჭოს № 435 რეზოლუციის შესრულების საფუძველზე.

მოლაპარაკების მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ომის საფრთხე, რომელსაც იმპერიალიზმის აგრესიული წრეები ქმნიან, ახლა აფრიკის კონტინენტსაც ემუქრება. სწორედ ამიტომ აფრიკის შვიდეობისმოყვარე სახელმწიფოები მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებთან ერთად აქტიურად ჩაებნენ ომის საწინააღმდეგო ბრძოლაში. მხარეებმა ყურადღება მიაპყრეს აგრეთვე იმ ცდების საშიშროებას, რომლებსაც იმპერიალისტები მიმართავენ, რათა გათიშონ აფრიკის ქვეყნების რიგები აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციაში ხელოვნური კრიზისული მდგომარეობის შექმნის გზით და ამის შედეგად მოადუნონ მისი ანტიიმპერიალისტური, ანტიკოლონიური და ანტირასისტული ბრძოლა. ორივე მხარემ ხაზი გაუსვა მეუმხრობლობის მოძრაობის პასუხსაგებ საერთაშორისო როლს და გამოთქვა რწმენა, რომ მშვიდობის უზრუნველყოფისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების, ამ მიზნების მისაღწევად ხალხთა ფართო თანამშრომლობის პრობლემებს ღირსეული ადგილი დაეთმობა მეუმხრობელი სახელმწიფოების კონფერენციაზე, რომელიც დელში იხსნება.

ი. ვ. ანდროპოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის სახელით ს. მაშელს, ფრელიმოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მთავრობას, მთელ მოზამბიკელ ხალხს უსურვა შემდგომი წარმატებანი მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობისა და მოზამბიკის რევოლუციის მონაპოვართა დაცვაში.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამემწე ვ. ვ. შარაპოვი.

* * *

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 2 მარტს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარის, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის მარშალ სამორა მოიზეს მაშელის პატივსაცემად.

ს. მაშელთან ერთად იყვნენ მისი თანმხლები ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები ნ. ა. ტიხონოვი, ჰ. ა. ალიევი, ა. ა. გრომიკო, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა ნ. ა. ტიხონოვმა და ს. მაშელმა წარმოთქვეს სიტყვები, რომლებიც დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ. (საკდესი).

სურათზე: საუბრის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საუბარი კრემლში

1 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი შეხვდა ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარეს, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს სამორა მ. მაშელს, რომელიც მოსკოვში მეგობრულ სამუშაო ვიზიტად იმყოფება.

საუბრის დროს ნ. ა. ტიხონოვმა და ს. მაშელმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის ურთიერთობის საკითხები, რომელიც წარმატებით ვითარდება მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მტკიცე ბაზაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სსრ კავშირისა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ ურთიერთობას, რომლის ძირითადი მიმართულებანი განსაზღვრულია ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის 1981-1990 წლების პერიოდის გრძელვადიანი პროგრამით, კარგი პერსპექტივები აქვს, რათა იგი კვლავაც ყოველმხრივ განვითარდეს.

შეხვედრამ მეგობრულ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

გაიმართა საუბარი

2 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის ურთიერთობის საკითხები, რომელიც წარმატებით ვითარდება მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მტკიცე ბაზაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სსრ კავშირისა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ ურთიერთობას, რომლის ძირითადი მიმართულებანი განსაზღვრულია ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის 1981-1990 წლების პერიოდის გრძელვადიანი პროგრამით, კარგი პერსპექტივები აქვს, რათა იგი კვლავაც ყოველმხრივ განვითარდეს.

შეხვედრამ მეგობრულ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

ვიზიტი გრძელდება

სსრ კავშირში ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარის, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სამორა მოიზეს მაშელის მეგობრული სამუშაო ვიზიტის ფარგლებში 2 მარტს ხელი მოაწერეს ოქმს 1983-1984 წლებში საბჭოთა კავშირისა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მხრივ ოქმს ხელი მოაწერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, მოზამბიკის მხრივ — ფრელიმოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. ჩისანომ.

ოქმი ითვალისწინებს ორმხრივი კულტურული ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას, თანამშრომლობის განვითარებას მეცნიერების, განათლების, წიგნის გამოცემის საქმეებისა და სხვა დარგებში. (საკდესი).

ურთიერთგაგების ვითარებაში

1 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარეს, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს სამორა მ. მაშელს, რომელიც მოსკოვში მეგობრულ სამუშაო ვიზიტად იმყოფება.

საუბრის დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს საბჭოთა კავშირისა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის მისწრაფებიდან, რომ კიდევ უფრო განავითაროონ და გაღრმავონ ორმხრივი ურთიერთობა, აგრეთვე შეეხნენ ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს.

შეხვედრამ ამხანაგური ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების

1982 წლის შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა თავიანთ დადგენილებაში აღნიშნეს, რომ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს რესპუბლიკის დარგებს, რეგიონებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება უფრო საგნობრივი და შედეგიანი გახდა. შრომითი მეტოქეობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის, სახელმწიფო, საგეგმო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცების, შეჯიბრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლების საკითხებს.

ამავე დროს შეჯიბრების მიმდინარეობის ანალიზმა ცხადყო, რომ ჯერ კიდევ ზშირია შემთხვევები, როცა რესპუბლიკის ცალკეული სამინისტროები და უწყებანი, რეგიონები შრომითი მეტოქეობის არსს ამოწურავენ მისი შედეგების ფორმალური შეჯამებით. ყველგან არ არის დანერგილი ქალაქებისა და რაიონების დელეგაციების გაცვლა, გაზეთის პუბლიკაციები შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ, მოწინავე საწარმოო გამოცდილების გავრცელების დღეების მოწყობა. წარმოების ყველა რგოლს როდი დაეტყო დისციპლინის ამაღლების ეფექტი, ბრძოლა შეგნებული დისციპლინისათვის ყოველთვის არ უკავშირდება საწარმოო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების უშუალო შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და 1982 წლის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს:

სამინისტროებსა და უწყებებს შორის:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო
საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო
საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო
ღვინის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება „სამტრესტი“ — ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაი“	საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაი“
საქმთავარენერგო — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო
საქართველოს სსრ სახმომარაგება — საქსახსოფლტექნიკა	საქართველოს სსრ სახმომარაგება
საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო
საქმთავარმონტაჟსპეცმშენი — საქმიდროენერგომშენი	საქმთავარმონტაჟსპეცმშენი
აღინიშნა კარგი მუშაობა საქმიდროენერგომშენის	
საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო
საქმთავარმონტაჟსპეცმშენი — საქმთავარწყალმშენი	საქმთავარმონტაჟსპეცმშენი
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო	საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო
საქართველოს საზღვაო სანაოსნო — ამიერკავკასიის რკინიგზა	საქართველოს საზღვაო სანაოსნო
საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო — საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო	საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო
საქართველოს სსრ სახმომარაგება — საქართველოს სსრ საზნავთობპროდუქტები	საქართველოს სსრ სახმომარაგება

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს შორის:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შორის, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირს შორის გაბლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი არ გამოვლენილა, რადგან მათ ვერ შეასრულეს დადგენილნი ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.	**თბილისის ლენინის რაიონი, ქუთაისის ლენინის რაიონი** **თბილისის გლდანის რაიონი**

ქალაქებს შორის:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:	ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
აფხაზეთის ასსრ — აჭარის ასსრ აფხაზეთის ასსრ — სამხრეთ ოსეთის აო	**აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ** **აფხაზეთის ასსრ**		
ბათუმი — სოხუმი	**სოხუმი**	ფოთი — ზუგდიდი	**ფოთი, ზუგდიდი**

რაიონებს შორის:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:	ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
გეგეჭკორის — ოჩამჩირის	**გეგეჭკორის**	ლენტეხის — ჩხოროწყუს	**ლენტეხის**
ასპინძის — შუახევის	**შუახევის**	გურჯაანის — მარნეულის	**მარნეულის**
მესტიის — ორჯონიკიძის	**მესტიის**	თელავის — ზესტაფონის	**ზესტაფონის**
სამტრედიის — ზაშურის	**სამტრედიის**	ზობის — სიღნაღის	**ზობის**
აღინიშნა კარგი მუშაობა ზაშურის რაიონში.		სოხუმის — ხელვაჩაურის	**სოხუმის**
დმანისის — დუშეთის	**დმანისის**	ცაგერის — მაიაკოვსკის	**ცაგერის, მაიაკოვსკის**
ბორჯომის — წყალტუბოს ზონა	**წყალტუბოს ზონა**	წალენჯიხის — ლაგოდეხის	**წალენჯიხის**
ბოგდანოვკის — საგარეჯოს	**ბოგდანოვკის**	ყვარლის — ახმეტის	**ყვარლის**
გალის — აბაშის	**აბაშის**	ადიგენის — ხულოს	**ხულოს**
ყაზბეგის — ლენინგორის	**ლენინგორის**	ცხინვალის — წულუკიძის	**წულუკიძის**
ამბროლაურის — საჩხერის	**საჩხერის**	გულრიფშის — ქედის	**გულრიფშის**
ჩოხატაურის — ლანჩხუთის	**ლანჩხუთის, ჩოხატაურის**	ქობულეთის — გაგრის ზონა	**გაგრის ზონა**
		თერჯოლის — საჩხერის	**საჩხერის**
		აღინიშნა კარგი მუშაობა თერჯოლის რაიონში.	
		ვანის — წულუკიძის	**ვანის**

რესპუბლიკებს შორის:

ერთმანეთს ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
ქუთაისსა და რუსთავს შორის გამარჯვებული არ გამოვლენილა, რადგან მათ ვერ შეასრულეს გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, გაუარესეს საფინანსო და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობა.	
ჯავახეთი და ონის, თიანეთისა და წალკის, ზნაურისა და ქარელის რაიონებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები არ არიან გამოვლენილი, რადგან მათ ვერ შეასრულეს სოფლის მეურნეობის ცალკეულ სახეობათა პროდუქციის დამზადების გეგმები, შეანელეს დამზადების ზრდის ტემპი. 1981 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აგრეთვე ვერ შეასრულეს გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი მრეწველობაში, ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, გააუარესეს საფინანსო და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობა.	

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საქმეში ფართო ინიციატივა, ორგანიზაციული ნიჭი, ენერგია, ცოდნა, ბრძოლისუნარიანობა, ინიციატივიანობ

ფუტბალი
ფაქტები
მოვლენები
საკლესი
იუფყეპა

ვარდები და ზარები

ამას წინათ ბულგარეთში გახლდით. ძლიერი და ლამაზია ახალი ბულგარეთი. ის-ის იყო ჩემი შთაბეჭდილებები „წესრიგში მოვიყვანე“ და დავალაგე, რომ გაზეთ „კომუნისტში“ საბჭოთა კავშირის გმირის მელიტონ ქანთარიას წერილი დაიბეჭდა, წერილი, რომელიც წახული ადამიანების ნათელი ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი. მისმა წაკითხვამ მომცა საბოლოო ბიძგი დამეწერა ეს წერილი.

ბულგარეთში არის განუმეორებელი სილამაზის პარკი, სადაც 6500 ხე და ვარდია დარგული... მხოლოდ 6500!

რატომ სწორედ ამდენი?

ისტორიის ლეგენდარული ფურცლები თაობებს უამბობს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების განმათავისუფლებელი ომის დროს ბულგარეთში ქალაქ პლევენთან გმირული ბრძოლების ამბავს.

1877 წლის 11 სექტემბრის დილა იდგა, რუსი ჯარისკაცები ემზადებოდნენ პლევენზე მესამე შეტევისათვის. დაიწყო მძვინვარე ბრძოლა. როცა დაინახა, რომ ჯარისკაცები უკანასკნელ ძალთა მოკრებით იბრძვიან, ბრძოლის ცეცხლში შეიჭრა ოცდათოთხმეტი წლის გენერალი სკობელევი. მას თეთრი მუნდირი ეცვა და თეთრ ცხენზე იჯდა. მამაცმა გენერალმა აღფრთოვანა მებრძოლები. თავიანთი საყვარელი მეთაურის მაგალითით შთაგონებული ჯარისკაცები, დაღლილობისა და ჭრილობების მიუხედავად, ახალი ძალით ჩაებნენ ბრძოლაში. რაზმმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 6500 კაცი დაკარგა.

დიდი საფრთხის მიუხედავად, ბულგარელები, რითიც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ თავიანთ განმათავისუფლებლებს: ბრძოლის ცეცხლიდან გამოჰყავდათ დაჭრილები, ურმებითა და ფორნებით გზავნიდნენ მათ შესახვევ პუნქტებში, მებრძოლთათვის მოჰქონდათ ტყვია-წამალი, სურსათი და წყალი. ბევრი მათგანი იღუპებოდა და მათი სისხლი რუსი ძმების სისხლს ერთვოდა!

ბრძოლა სულ უფრო და უფრო შეუპოვარი ხდებოდა. თავის გამოუვალ მდგომარეობაში რომ დარწმუნდა, ოსმან-ფაშა რუსებს ტყვედ დანებდა. კაპიტულაციის დროს მოორენულ მახვილს, რომელზეც წარწერილი იყო „უძლეველი“, სეკდიანი სიტყვებით გამოეშვიდობა: „წელიწადს ყოველი დღე როდია ბედნიერიო“.

ეს ველი, სადაც მებრძოლებმა თავიანთი სისხლი დაღვარეს, ისტორიაში დარჩა „მკვდარი ველის“ სახელწოდებით აი, რატომ დარგეს აქ 6500 ხე და ვარდი და რატომ ჰქვია მას „ვარდების ველი“. პლევენის ყველა ცხოვრები გენერალ სკობელევის სახელობის პარკს თავის საყვარელ ადგილად თვლის.

პარკი უზარმაზარ ჭრელ ხალიჩად გადაშლილა ველზე. მის ირგვლივ დათოვლილი მთებია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი სადღაც ცაშია დაკიდებული და ცურავს... ეს ბულგარული მიწის პატარა, მშვენიერი ზღაპარია...

ყოველ ბულგარელს აქ ყვავილები მოაქვს, აღტაცება გიპყრობს, როცა ხედავ, თუ როგორი სიყვარულით, როგორ წმიდად ინახავს ბულგარელთა თანამედროვე თაობა იმათ ხსოვნას, ვინც თავისი სისხლი დაღვარა და სიცოცხლე გასწირა ბულგარეთის თავისუფლებისა და ბედნიერი მომავლისათვის.

პარკის მახლობლად დიდებული პანორამაა — პლევენის 1877 წლის ეპოპეა. ეს რუსეთის საბრძოლო დიდების, ბულგარეთ-რუსეთისა და ბულგარეთ-საბჭოეთის მეგობრობის ყველაზე უფრო დიდებული ძეგლია.

* * *

სოფიის ცენტრში გარნიზონის სამხედრო სასროლეთი იყო. აქ ხვრეტდნენ ყველას, ვინც ხმას აღიმაღლებდა ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. 1942 წლის ივლისში დახვრიტეს ახალგაზრდა ბულგარელი. სიკვდილის წინ მას შეუსრულეს უკანასკნელი თხოვნა. იგი შეხვდა თავის საცოლეს. ისინი სამნი იყვნენ: ვაჟი, ქალი და მღვდელი. ქალს თეთრი კაბა ეცვა. ვაჟს კი პალტოს ზოლიანი ტანსაცმელი. გამოთხოვებისას ქალმა მას ერთი წიფელი მიხაკი მისცა.

თითქმის ირიერაჟა, როცა მეთაურმა გასცა ბრძანება სისრულეში მოეყვანათ განაჩენი. მართალია, შაშხანათა ლულები პატიმარს ორგანომ წინადადებთ მიმართა აფაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, საგრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომს, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უფრო სრულად გამოიყენონ მათს განკარგულებაში არსებული საშუალებანი და შესაძლებლობანი საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მათი ერთიანობის, მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებისათვის. ისინი ნიადაგ უნდა სრულყოფდნენ დეპუტატთა საქმიანობას მუდმივ კომისიებში, დეპუტატთა ჯგუფებში, საარჩევნო ოლქებში, აფართოებდნენ და განამტკიცებდნენ მათს კავშრს მოსახლეობასთან, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან და იღვწოდნენ, რომ თითოეული დეპუტატი იყოს ადგილებზე პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის აქტიური გამტარებელი. ყურადღება მიეპყრო იმას, თუ რაოდენ საჭიროა მთელი მუშაობა წარიმართოს ამ მიმართულებით იმ დასკვნებისა და დებულებების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშრის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებაში.

დეპუტატთა როლისა და აქტიურობის შესახებ სკკ-ბაასი გაიმართა მაშინაც, როცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების 1982 წლის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შედეგები. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა ყოველნაირად უნდა დახვეწონ ორგანიზატორული მუშაობის ფორმები და მეთოდები, გააქტიურონ დეპუტატების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების მუდმივი კომისიების საქმიანობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხთა გადაწყვეტაში. ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალისტური კანონიერებისა და წესრიგის დაცვის, ცხოვრების ყველა სფეროში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებს.

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა ეკონომიკურ საბჭოთა ბიუროს ინფორმაციები ეროვნული ეკონომიკის ინგლისელ მეცნიერს ჯონ დონუს. გავიფიქრე: „მცირე ომები“ არ უნდა ვუწოდოთ ხანძრებს, რომლებიც პლანეტის სხვადასხვა ადგილას გიზგიზებს. მცირე ომი ჰგავს პატარა კენჭს, რომელიც მთებში საშინელ ზვავს იწვევს. ზვავი ხომ არავის არ ინდობს.

„არის ინტერესები სახელმწიფოსი, არის ინტერესები ერისა, მაგრამ არის კიდევ ინტერესები კაცობრიობისა. თუ შენ გინდა, კაცობრიობა უფრო ბრძენი იყოს, ვიდრე იგი არის, დაიწყე საკუთარი თავით. თუ შენ გინდა, არ იყოს ახალი ომი, დედამიწაზე ყველა ადამიანი მშვიდობის მომხრე გახდეს, დაიწყე საკუთარი თავით! და არ იკითხო: „რა შემიძლია მე?“ შენ ყველაფერი შეგიძლია!“

ეს დიდებული სიტყვები ეკუთვნის ცნობილ საბჭოთა პოეტს რობერტ როჟდესტვენსკის, პოემა „რეკვიემის“ ავტორს. ამ პოემის ჰონორარი კი მან სრულად გადასცა მშვიდობის ფონდს.

ზოგჯერ ვერც კი გაარჩევ, რომელი წკრიალებს უფრო ხმამაღლა — ზარები თუ ბავშვთა ჭაზნებული ხმები. მაგრამ თითქოს ზარები ადამიანის ხმით გაიძახიან: ბავშვებს დედამიწის სფეროს ყველა კუთხეში უნდა სწადდეთ, რომ ისინი დაბადებული არიან იმისათვის, რომ აშენონ, შექმნან და არა იმისათვის, რომ ანგრიონ, კი არ დაწვან. წიგნები, არამედ ბეჭდონ; დაბადებული არიან სიყვარულისათვის და არა სიძულვილისათვის; დაბადებული არიან გამარჯვებისათვის, იმისათვის, რომ მხოლოდ წინ იაროს!

ასე აღტაცებით, კეთილშობილური მისწრაფებით აღაფრთოვანებენ და მოუწოდებენ ეს ზარები, ყველაზე უკეთესნი, ყველაზე ოპიგინალურნი ყველა ზართაგან, რომლებიც კი არსებობს სამზეოში.

ფილიპე მახარაძე,
სოფია-თბილისი.

● აშშ

უნდობლობის ვოტუმი

ვაშინგტონი. *თეთრ სახლს უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადეს. ასე შეგვიძლია შევაფასოთ ამერიკის შეერთებული შტატების გუბერნატორთა ეროვნული ასოციაციის აქ დამთავრებული კონფერენციის შედეგები.* კონფერენციამ მიიღო რეზოლუციების სერია, რომლებიც შეიცავს მოთხოვნას არსებითად გადასინჯონ რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა. გუბერნატორებმა უწინარეს ყოვლისა მოითხოვეს მკვეთრად შემცირდეს გამაღებული შეიარაღება ხარჯები, რომლისთვისაც, როგორც ცნობილია, უახლოესი ხუთი წლის მანძილზე დაგეგმილია ორ ტრილიონ დოლარზე მეტის ასიგნება. მათ აშკარად განაცხადეს აგრეთვე, რომ წინააღმდეგი არიან ეგრეთ წოდებული „ახალი ფედერალიზმის“ პროგრამისა, რომლის დახმარებითაც ვაშინგტონი ცდილობს აიცილოს ყოველგვარი პასუხისმგებლობა მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის და დააკისროს იგი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს.

● თურქეთი

ასამართლებენ ტერორისტს

სტამბოლი. *სტამბოლის საგამგებო წესების სასამართლო დაუსწრებლად ასამართლებს თურქ ულტრამემარჯვენე ტერორისტს მეჰმედ ალი აღჯას, რომელიც თავს დაესხა რომის პაპ იოანე პავლე მეორეს რომში 1981 წლის მაისში.* ამას იუწყება ანატოლიის საგაზეთო. თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მას ამ დანაშაულისათვის შეიძლება სიკვდილი მიუსაჯონ.

ახლა აღჯა იტალიაში სამუდამო პატიმრობაშია რომის პაპზე თავდასხმისათვის.

● ესპანეთი

მადრიდის შეხვედრა

მადრიდი. *ესპანეთის დედაქალაქში გრძელდება ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეხვედრა.* მისი მუშაობა უმთავრესად მიმდინარეობს საკონტაქტო ჯგუფების ფარგლებში, სადაც წარმოებს საბოლოო დოკუმენტის ცალკეული თავების რედაქტირება, ისეთი ფორმულირების ძიება, რომლებიც მისაღები იქნება ამ საერთაშორისო ფორუმის ოცდაოთხუთმეტივე მონაწილისათვის.

შეხვედრაზე აკრედიტებულ ჟურნალისტთა წრეებში ცნობილი გახდა, რომ საბოლოო დოკუმენტის პროექტის ცალკეულ დებულებათა მიხედვით ვლინდება პოზიციების ერთგვარი დაახლოება. მაგრამ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში დელეგაციათა პოზიციები კვლავ არ ემთხვევა ერთმანეთს.

● იუგოსლავია

განიხილეს აქტუალური პრობლემები

ბელგრადი. *აქ გაიმართა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის წინაშე მდგომი აქტუალური იდეურ-პოლიტიკური პრობლემები და ამოცანები.*

პლენუმზე მოხსენება გააკეთა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა კ. ჰაჯიასილევმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყანაში ეკონომიური და სოციალური პრობლემების გამწვავების პირობებში იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლება. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის წინაშე მდგომ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაზე დამოკიდებულია მისი წამყვანი იდეურ-პოლიტიკური როლის გაძლიერება მუშათა კლასის ისტორიული ინტერესების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ უკანასკნელ ხანს, აღნიშნა მომხსენებელმა, სოციალიზმის მოწინააღმდეგენი იუგოსლავიაში ცდილობენ ქვეყნის განვითარება წარმართონ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის კურსის საწინააღმდეგო გზით. ისინი იყენებენ არსებულ სიძნელეებს და ცდილობენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი შეავიწროვონ როგორც საზოგადოების წამყვანი ძალა, უარყოფენ რევოლუციურ მონაპოვრებს, ძირს უთხრიან კომუნისტებისადმი ხალხის ნდობას. ისინი ამწვავებენ ნაციონალიზმსა და მოვიხიზმს, ცდილობენ ძირი გამოუთხარონ იუგოსლავიის ხალხების ერთიანობას. გამოცდილება მოწმობს, რომ თუ დროულად და გადაჭრით არ აღიკვეთა ნაციონალისტური მოქმედება, მათ უდიდესი ზიანი მოსდევდა.

თავისი საქმიანობა, აღნიშნულია მოხსენებაში, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირმა უნდა წარმართოს მტრული ელემენტების გამოაშკარავებისათვის, მათი სრული პოლიტიკური და იდეოლოგიური იზოლაციისათვის. მარტო იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ბენერალური ხაზის განხორციელებისათვის შემტევი ბრძოლა დარაზმავს მშრომელებს, საზოგადოების მთელ შემოქმედებითს ძალებს ქვეყნის წინაშე მდგომი დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად.

„საქართო ბაზარი“:

კვლავ უთანხმოებათა დასაძლევად

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს სესიაზე

ბრიუსელი. *ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს სესიის ფარგლებში აქ-შეიკრიბნენ „საერთო ბაზრის“ ქვეყნების ეკონომიკის მინისტრები, რათა შეეცადონ დაძლიონ უთანხმოებანი, რომლებიც წარმოიშვა გაერთიანებაში ეგრეთ წოდებული „ერთიანი შინაგანი ბაზრის“ შექმნის პრობლემაზე.* პირველ ამგვარ შეხვედრას, რომელიც მიმდინარე წლის 1 თებერვალს გაიმართა, არავითარი პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. არსებითად სერიოზული წინააღმდეგობები გამოვლინდა დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო.

ევროპის გაერთიანებათა კომისიის წინადადებანი, კერძოდ, ეხება საბაჟო ღონისძიებების სერიას, გაერთიანების ქვეყნებში შემოტანილ საქონელზე ერთიანი აქციზური ნორმების დაწესებას და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანების პარტნიორები აღიარებენ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში „ერთიანი შინაგანი ბაზრის“ შექმნის დიდ მნიშვნელობას, ჯერჯერობით არ ძალუძთ უარი თქვან ვიწრო ეროვნულ მიდგომაზე. სწორედ ამიტომ ინფორმირებული ეკონომიკური ბიულეტენი „იუროპოლიტიკი“ წერს, რომ „ერთიანი შინაგანი ბაზრის“ პრობლემის ყველა ასპექტის მიხედვით უთანხმოება იმდენად ღრმა და სერიოზულია, რომ მოსალოდნელი არ არის რაიმე მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს ახლანდელ სესიაზე.

ბელგრადი. *ეს ბელგრადელ ჟურნალისტთა ინფორმაციაა. ეს ინფორმაცია ეხება ბელგრადში ბოლო ორი კვირის განმავლობაში ჩატარებულ ერთ-ერთ ფართო ინფორმაციულ ღონისძიებას, ანუ ბელგრადელ ჟურნალისტთა ინფორმაციას ბელგრადში ბოლო ორი კვირის განმავლობაში ჩატარებულ ერთ-ერთ ფართო ინფორმაციულ ღონისძიებაზე.* ეს ინფორმაცია ეხება ბელგრადელ ჟურნალისტთა ინფორმაციას ბელგრადში ბოლო ორი კვირის განმავლობაში ჩატარებულ ერთ-ერთ ფართო ინფორმაციულ ღონისძიებაზე.

ფოტოინფორმაცია

● მოზამბიკი

წარმატებული ოპერაცია

მოზამბიკის *განთავისუფლების სახალხო ძალებმა მთელი რიგი წარმატებული ოპერაციები განახორციელეს ეგრეთ წოდებული „წინააღმდეგობის ეროვნული მოძრაობის“ წინააღმდეგ.*

მოზამბიკის შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებმა ჩაფუშეს აღნიშნული მოძრაობის შეიარაღებული ბანდების ცდა შეექმნათ ტეტეს პროვინციაში საყრდენი პუნქტები. ტერორისტული ანტიმოზამბიკური დაჯგუფებანი, რომლებსაც ზურგს უმაგრებენ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმი, შეეცადნენ თავიანთი კონტროლისათვის დაექვემდებარებინათ მდინარე ზამბეზზე გადასასვლელი და ქალაქ ტეტეში მიმავალი გზა. ელვისებურად განხორციელებული ოპერაციის შედეგად, რომელშიც ჯარებს აქტიურად უჭერდა მხარს მოსახლეობა, „წინააღმდეგობის ეროვნული მოძრაობის“ ტერორისტები უკუიქცნენ, მათ ალყა შემოარტყეს და მოსპეს.

სურათზე: *მოზამბიკის განთავისუფლების სახალხო ძალების მებრძოლები.*

საკლესის ფოტო.

სპეციალური ინფორმაციები

დიდი წარმატება

„რუსთავის“ გასტროლები

პარიზი. *პარიზის უდიდეს საკონცერტო დარბაზ „ოლიმპიაში“ დიდი წარმატებით ჩაიარა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ გასტროლმა.* საფრანგეთში წლევანდელი საგასტროლო მოგზაურობის დროს ანსამბლი პირველად გამოვიდა პარიზის სცენაზე. თებერვლის განმავლობაში „რუსთავის“ კონცერტები დიდი წარმატებით მიმდინარეობდა სამხრეთ და აღმოსავლეთ საფრანგეთის ბევრ ქალაქში, კერძოდ, ისეთ მსხვილ ცენტრებში, როგორიც არის ბორდო, ტულუზა, ლიმოჟი, ანეკი.

„ნამდვილი ტრიუმფი“ — ასე დაახასიათა ანსამბლის გამოსვლა აღმოსავლეთ საფრანგეთის უდიდესმა გაზეთმა „ესტ რეპუბლიკენნმა“. „საბჭოთა საქართველოს მსახიობებმა, — წერდა გაზეთი, — გვიჩვენეს უმაღლესი კლასის სპექტაკლი, რომელმაც მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია“.

„ოლიმპიაში“ გამართული კონცერტის შემდეგ საკდესის კორესპონდენტი შეხვდა მსახიობთა დელეგაციის ხელმძღვანელს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილეს ვ. ასათიანს და „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ა. ერქომაიშვილს.

„ჩვენი ანსამბლის რეპერტუარი, რომელშიც მარტო ასზე მეტი სიმღერა და ათობით ცეკვაა, ასახავს საქართველოს ხალხური სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების სამდიდრეს, — თქვა ა. ერქომაიშვილმა. — საფრანგეთში კონცერტებისათვის ვცდილობდით შეგვერჩია ხალხური შემოქმედებისათვის ყველაზე დამახასიათებელი ნაწარმოებები.

„თავისი არსებობის ცამეტი წლის მანძილზე ანსამბლი უკვე მესამედ არის გასტროლებზე საფრანგეთში, — თქვა ვ. ასათიანმა, — ჯნდა აღინიშნოს, რომ როგორც წინათ, ისე ახლანდელი მოგზაურობის დროს საფრანგეთში ძალზე თბილად ხვდებიან ქართველი მსახიობების გამოსვლას. ყველგან, სადაც კი ანსამბლი გამოვიდა, სუფევდა კეთილმოსურნეობის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს იმას, რომ მსახიობებმა აჩვენონ ყოველივე საუკეთესო, რაც მათ ძალუძთ“.

საღამოს კვლავ ინთება „ოლიმპიის“ რამპის ნათლები. „რუსთავის“ კონცერტები პარიზში კვირის დამლევამდე გასტანს, შემდეგ კი ანსამბლი გასტროლებს განაგრძობს შვეიცარიისა და ბელგიაში.

სპეციალური ინფორმაციები

მეტოქეობის ვითარებაში

მთელ საფრანგეთში მერიების შენობათა წინ ჩამწკრივებულია ხის დაფები, რომლებზეც ტრადიციისამებრ არჩევნების წინ აკრავენ აფიშებს, მოწოდებებს, პოლიტიკურ პარტიათა ლოზუნგებს, მათი კანდიდატების სიებს. საფრანგეთი კვლავ მწვავე პოლიტიკური ბრძოლისათვის ემზადება. 6 მარტს გაიმართება მუნიციპალური არჩევნების პირველი ტური. არჩევნების შედეგად მოლიანად უნდა განახლდეს ადგილობრივი ხელისუფლების სასოფლო და საქალაქო ორგანოების შემადგენლობა. იქ, სადაც პირველი ტურის შედეგად კანდიდატთა სიები აბსოლუტურ უმრავლესობას ვერ მიიღებენ, ერთი კვირის შემდეგ გაიმართება კენჭისყრის მეორე ტური.

საფრანგეთში მუნიციპალური არჩევნები რეგულარულად 6 წელიწადში ერთხელ ეწყობა, მაგრამ ახლანდელ არჩევნებს ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამის მრავალი მიზეზი არსებობს, მთავარი კი მაინც ის არის, რომ იგი პირველად იმართება მას შემდეგ, რაც 1981 წლის მაის-ივნისში პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებში მემარცხენე ძალებმა გაიმარჯვეს. კენჭისყრის შედეგებმა უნდა ცხადყოს ამჟამად ძალთა რეალური თანაფარდობა და განსაზღვროს უახლოეს ექვს წელიწადში მუნიციპალიტეტებში პოლიტიკური შემადგენლობა.

არჩევნები დიდ ინტერესს იწვევს იმითაც, რომ იგი პირველად გაიმართება ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც შარშან მიიღეს მთავრობის წინადადებით და ითვალისწინებს პროპორციული წარმომადგენლობის უფრო დემოკრატიული სისტემის გამოყენებას. გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ ახალ მუნიციპალიტეტებსა და მათ მიერ არჩეულ მერებს მთავრობის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად ბევრად ფართო უფლებამოსილება ექნებათ, ვიდრე წინათ. კერძოდ, გაფართოვდა მათი უფლებები ქალაქმშენებლობის, ტერიტორიათა კეთილმოწყობის, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის დარგში. სახელმწიფოსაგან ისინი ბევრად მეტ თანხებს მიიღებენ, რომლებსაც თავიანთი შეხედულებისამებრ გამოიყენებენ.

ახლანდელი არჩევნები თანამედროვე საფრანგეთში ერთმანეთის პირისპირ მდგომი ორი ძლავრი ბლოკის მეტოქეობის მნიშვნელოვანი ეტაპია. ბოლო თვეებში განსაკუთრებით გაქტიურდა მემარჯვენე ძალების ბლოკი, რომელმაც მოხდა გარკვეული გადაჯგუფება 1981 წლის დამარცხების შემდეგ. მისი ლიდერის როლის პრეტენდენტია ბურჟუაზიული პარტია — გაერთიანება რესპუბლიკის მხარდასაჭერად, რომელსაც ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, პარიზის ახლანდელი მერი ჟ. შირაკი მეთაურობს.

ამას წინათ გამართულ ყრილობაზე აღინიშნულმა პარტიამ საკმაოდ დაუფარავად ჩამოყალიბა თავისი რეაქციული პროგრამა. საშინაო პოლიტიკის დარგში იგი ითვალისწინებს მემარცხენე ძალების მთავრობის მიერ განხორციელებული ბევრი დემოკრატიული და პროგრესული რეფორმის გაუქმებას, კერძოდ, ყველა მსხვილი სამრეწველო კომპანიის, ბანკის და საფინანსო ჯგუფის დენაციონალიზაციას, მსხვილ კაპიტალზე შარშან შემოღებული დამატებითი გადასახადების გაუქმებას, იმ ახალი კანონების გადასინჯვას, რომლებიც საკონსტიტუციო ფარგლებში ბიეო, და მოახდინოს საყოველთაო დენაციონალიზაცია.

. რესპუბლიკის მხარდასაჭერად გაერთიანებამ და საფრანგეთის დემოკრატიისათვის კავშირმა მიიღეს გადაწყვეტილება თითქმის მთელ ქვეყანაში მუნიციპალურ არჩევნებში წარადგინონ კანდიდატთა ერთობლივი სიები, რათა მათი არჩევის შანსი გაზარდონ და არ დაუშვან მემარცხენე ძალების წარმატება.

მემარჯვენე პარტიათა ბლოკის ზურგს უკან დგას კაპიტალი, უწინარეს. ყოველისა, მსხვილი კაპიტალი, რომელიც ყოველნაირად უჭერს მას მხარს. განხორციელებული ნაციონალიზაციის მიუხედავად, მის ხელთ ჯერ კიდევ არის ზემოქმედების მძლავრი ეკონომიკური და ფინანსური ბერკეტები, აგრეთვე პოლიტიკური და პროპაგანდისტული ზეგავლენის არხები პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების სახით. საფრანგეთის კაპიტალი აშკარა საბოტაჟს უწევს მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ეკონომიკის გამოცოცხლება და უმუშევრობის შემცირება.

მემარცხენე უმრავლესობის პარტიები არჩევნებს გარკვეული მოწევებით ხვდებიან. ამას წინათ ტელევიზიით გამოსვლისას სოფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჟ. მარშემ აღნიშნა, მათი საქმიანობა 1981 წელს მეტად დადებითი იყო. ამ ხნის მანძილზე, თქვა მან, არსებითად გაიზარდა მინიმალური ხელფასი, დახმარება ოჯახებისათვის, შემცირდა საპენსიო ასაკი, გაიზარდა შვებულების დღეები. გარდა ამისა, მთავრობამ განახორციელა ღონისძიებები, რომელთა ეფექტი ხანგრძლივი პერსპექტივით არის გათვალისწინებული. ეს არის ნაციონალიზაცია, მმართველობის დეცენტრალიზაცია, ეროვნული წარმოების ამაღლების კამპანია, პროფესიული მომზადების სისტემის გაუმჯობესება, მშრომელთა უფლებების გაფართოება.

ბურჟუაზიული კასანდრების პანიკური მტკაცების მიუხედავად, რომლებიც საფრანგეთის მთელ ეკონომიკას ნაციონალიზაციის შედეგად ელვისებურ კრახს უწინასწარმეტყველებდნენ, განვლილმა წელმა ცხადყო, რომ ეს ღონისძიება ფრიადი და საჭირო იყო. სახელმწიფოს კონტროლს დაუქვემდებარდა ექვსი მსხვილი სამრეწველო კომპანია, ორი საფინანსო ჯგუფი და კერძო ბანკების დიდი უმრავლესობა. საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფოო საწარმოებზე ამჟამად მოდის ბრუნვის ოთხი მეხუთედი შავ მეტალურგიასა და საავიაციო მრეწველობაში, ნახევარზე მეტი — ქიმიურ, ორი მესამედი — ელექტრონულ მრეწველობაში. ნაციონალიზაციამ, რომელმაც არსებითად შეცვალა ქვეყნის სამრეწველო და საბანკო სტრუქტურა, გარკვეულწილად ხელი შეუწყო დათხოვნათა რიცხვის ზრდის შეჩერებას, მშრომელთა უფლებების გაფართოებას, კაპიტალდაბანდებათა მოცულობის ზრდას, წარმოების გარდაქმნის დაწყებას საფრანგეთის საწარმოების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, უცხოეთის კაპიტალის მიერ მათი ხელში ჩაგდების პროცესის შეჩერებას.

ცხადია, ეს მხოლოდ დასაწყისია, წერს გაზეთი „ლუმანიტე“. ერთ წელიწადში შეუძლებელია წინანდელი მმართველობის ულოს მთლიანად მოშორება და ყველა მისი მანკიერების დაძლევა.

არჩევნებში მემარცხენე ძალები ერთიანი ფრონტით გამოდიან. მარშან 23 დეკემბერს კომუნისტებმა და სოციალისტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მთელი ქვეყნის მასშტაბით კავშირის შესახებ, რომელიც საწყის პუნქტად იქცა შეკავშირებული და დინამიკური საარჩევნო კამპანიის მოსაწყობად. ისინი მოუწოდებენ ამომრჩევლებს ხმა მისცენ მემარცხენე ძალების კავშირის ერთიან კანდიდატებს პოზიციური გარდაქმნების გზით შემდგომი წინსვლისათვის.

გაზეთმა „ლუმანიტე დიმანშმა“ გამოაქვეყნა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის პ. მორუას მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ ქვეყანაში განხორციელებული გარდაქმნები მარტო მთავრობის საქმე როდია. იგი მოითხოვს ყველა ფრანგის ძალისხმევის მობილიზებას. პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მემარცხენე ძალების კავშირის წარმომადგენელთაგან შედგენილი მუნიციპალური საბჭოები ხელს შეუწყობენ ძირეული ეროვნული რეფორმების განხორციელებას.

საკლესის მასალების მიხედვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ფართოდ გავშალოთ ორგანიზატორული მუშაობა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მოსამზადებლად.

უზრუნველვყოთ რესპუბლიკის თითოეული რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, ამასთან გავითვალისწინოთ მის ტერიტორიაზე მცხოვრებ მშრომელთა ყველა ეროვნული ჯგუფის თავისებურებანი და ინტერესები.

უფრო აქტიურად შევუწყოთ ხელი რესპუბლიკათშორისი ეკონომიკური ურთიერთობისა და კულტურული გაცვლის განვითარებას...

ეს არის სტრიქონები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე მიღებული დადგენილებიდან. ამ დადგენილებით განისაზღვრა „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების ღონისძიებანი. მიიღო რა ეს დოკუმენტი ხელმძღვანელობისა და განკარგულებისათვის, რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ წინადადებთ მიმართა აფაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომს, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უფრო სრულად გამოიყენონ მათს განკარგულებაში არსებული საშუალებანი და შესაძლებლობანი საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მათი ერთიანობის, მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებისათვის. ისინი ნიადაგ უნდა სრულყოფდნენ დეპუტატთა საქმიანობას მუდმივ კომისიებში, დეპუტატთა ჯგუფებში, საარჩევნო ოლქებში, აფართოებდნენ და განამტკიცებდნენ მათს კავშრს მოსახლეობასთან, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან და იღვწოდნენ, რომ თითოეული დეპუტატი იყოს ადგილებზე პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის აქტიური გამტარებელი. ყურადღება მიეპყრო იმას, თუ რაოდენ საჭიროა მთელი მუშაობა წარიმართოს ამ მიმართულებით იმ დასკვნებისა და დებულებების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის შექმნის 60

1988 წლის 5 მარტს,
11 საათზე, ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში (რუსთაველის გამზირი № 2/4)
გაიმართება — საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი.
პლენუმის მონაწილეთა და მოწვეულ ამხანაგთა რეგისტრაცია დაიწყება დილის 10 საათიდან.

ს ურ ა თ ზ ე: რიწის მიდამოებში.

ზ. დათუაშვილის ფოტო.

ბუნება — სიცოცხლის კარი

ПРОБЛЕМЕБИ, ПЕРСПЕКТИВЕБИ

დიდი მოვალეობა, დიდი საზრუნავი

საქართველოს ბუნების დაცვის სამსახურის მუშაკები მშობლიური ბუნების დაცვა-გაჯანსაღებისათვის გამართულ წმიდათა-წმიდა ბრძოლაში მუდამ ვგრძნობდით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერასა და დახმარებას.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირმშოა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვისნაპირდაცვა“, რომელმაც არსებობის მოკლე ხნის მანძილზე დაამტკიცა, რომ დიდი მომავალი აქვს. შეიქმნა აგრეთვე საწმენდ ნაგებობათა ექსპლოატაციის რესპუბლიკური გაერთიანება, წყლის დაცვა-გამოყენების მთავარი სამმართველო და ა. შ.

ჭირემ, უდაბნო,) წერაქვი, ომალო, ბატილი საქართველოს ბუნებისადმი ზრუნვა-ყურადღების ძეგლებად იქცა. გვჯერა, რომ თუშეთის, ფშავ-ხევსურეთის, სამცხე-ჯავახეთის აღრე მიტოვებული ბეერი სხვა სოფლიც მალე აღორძინდება და რესპუბლიკის ეკონომიკური ძლიერების, ეროვნული სიამაყის დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცევა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ამ ცოტა ხნის წინათ ერთიან ხელმძღვანელობას დაექვემდებარა ბუნების დაცვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახური. ამის შედეგად კიდევ უფრო გამოიკვეთა როგორც საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის, ისე საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების როლი და მოვალეობანი.

უთუოდ საამაყო და საპატიო მოვალეობაა ბუნების დაცვის საზოგადოების თავკაცობა. მაგრამ ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, ზოგიერთ რაიონსა თუ ქალაქში ამხანაგები, რომლებიც არჩეული არიან საზოგადოების რაიონული თუ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეებად, ან საქმისათვის ან ვერ იცლიან ან ყოვლად მიუტევებელ შეუფასებლობას იჩენენ და გულს არ უდებენ მას.

პირდაპირ ვიტყვით, ამ საშვილიშვილო, დღევანდელობის ამ მეტად საპირბოროტო საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება გახდა მიზეზი იმისა, რომ ბუნების დაცვის საზოგადოებას საქართველოში ჯეროვანი გავლენა და ავტორიტეტი არა აქვს.

ჩვენი ვალია ყველაფერი ვიღოწოთ საზოგადოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ფართოდ წარმოვაჩინოთ, განვაზოგადოთ, ხალხისათვის ხელმისაწვდომი გაკეთდოთ ყოველივე კარგი, რაც საზოგადოებას თავისი არსებობის ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში გაუკეთებია. ამასთანავე უნდა დავამკვიდროთ მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, სანელდობრ, სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ შეფუშავებული პროგრამის შესაბამისად წარვმართოთ საზოგადოების მასობრივ-ორგანიზაციული, საგანმანათლებლო-პროპაგანდისტული, საზოგადოებრივ-საკონტროლო, ეკონომიკურ-სამეურნეო და სამეცნიერო-ტექნიკური მუშაობა. ასეთია საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, მისი განახლებული ხელმძღვანელობის ყოველდღიური საზრუნავი.

ცხოვრებამ არაერთხელ დაგვარწმუნა, რომ წარსულის გამოცდილების ღრმა გააზრება, შესწავლა და ყოველმხრივი ანალიზი უაღრესად დიდ როლს ასრულებს ხვალინდელი დღის სწორი და საიმედო გზებისა და ამოცანების განსაზღვრაში.

ბუნების დაცვის საზოგადოება 1948 წელს დაარსდა. მაშინ საზოგადოება „ტყის მეგობრად“ იწოდებოდა და ეს გამართლებულიც იყო. მაგრამ შემდეგ, როცა რესპუბლიკაში სერიოზული ეკოლოგიური ვითარება შეიქმნა, საზოგადოება სრულიად მართებულად ბუნების დაცვის საზოგადოებად გარდაიქმნა. მაგრამ მოხდა ისე, რომ საქმე მხოლოდ ტყეებზე, ბალახებზე, ბალნარებზე, ბაღებზე, ბაღჩებზე, ბოსტნებზე, ბოსელებზე, ბინებზე, ბანაკებზე, ბანებზე, ბანკებზე, ბანერებზე, ბანდებზე, ბანებზე, ბანებზე, ბან

ინფორმაცია — 83 — ინფორმაცია

„ოქროს გვირგვინი“ — ქართველ მსახიობს

სასიხარულო ცნობა მოვიდა მოძმე უნგრეთის სოციალისტური რესპუბლიკიდან — უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის ბრძანებულებით რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ელენე ხერგოს ასული საყვარელიძე დაჯილდოებულია უმაღრეთის „ოქროს გვირგვინის“ მედლით.

ეს მაღალი ჯილდო ქართველ მსახიობს მიენიჭა სსრ კავშირ-უნგრეთის საერთაშორისო საზოგადოებაში ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

ჩვენ მიეულოცეთ ქალბატონ ელენეს საპატიო ჯილდო და ვთხოვეთ, მკითხველისთვისაც გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი. მან გვიამბო:

— საბჭოთა კავშირ-უნგრეთისა და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებებს მიმდინარე წელს არსებობის 25 წელი შეუსრულდა, რაც საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში 15-18 თებერვალს. ამ საზოგადოების საქართველოს განყოფილება კი 1965 წელს შეიქმნა. აქედან მოყოლებული დღემდე აღნიშნული განყოფილების თავმჯდომარის უცვლელი მოადგილე ვარ. ამ 18 წლის მანძილზე ჩვენმა საზოგადოებამ უამრავი ღონისძიება მოიწყო. თითოეული მათგანი ხელს უწყობდა და კვლავაც უწყობს ამ ორი ქვეყნის ხალხთა საზოგადოებრივი და კულტურული ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებასა და განმტკიცებას.

საბჭოთა საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად სამჯერ ვეწვივე მომძე უნგრეთს. 1982 წლის სექტემბერში კი მონაწილეობა მივიღე ორმხრივ შეხვედრასემინარში, რომელიც განიხილავდა კომუნისტური, ინტერნაციონალური და პატრიოტული სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს. იქ ყოფნისას გავიცანი და დავუახლოვდი უნგრეთის მეგობრობის საზოგადოებისა და კულტურული ცხოვრების მრავალ თვალსაჩინო წარმომადგენელს, მათ შორის ცნობილ უნგრელ მწერალსა და მთარგმნელს დეორდ რადოს, რომელსაც გავუგზავნე ჩემ მიერ ფირზე ჩაწერილი ქართული ენის „გაკვეთილები, რასაც, როგორც თვითონ მწერს, დიდი დახმარება გაუწევია. ამ ჩანაწერებით ახლაც სარგებლობენ უნგრელი ქართველოლოგები. ამასთანავე ქალაქის ქსელთაც მოუწყვიათ სპეციალური რადიოგადაცემა. ამის თაობაზე ჟურნალ „ფილმ, სანჰაზ მუზეკაში“ კი გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „მსახიობი, რომელიც ასწავლის ქართულ ენას უნგრელ მთარგმნელებს“.

ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო ჩვენი საზოგადოებების კულტურული ურთიერთობიდან, თუნდაც უნგრეთში მოწყობილი ქართული კულტურის დღეები. ასევე ძალზე საგულისხმო იყო თითოეული ჩვენგანისათვის საქართველოში გამართული უნგრეთის კულტურის დღეები. ჩვენი საზოგადოების უშუალო დახმარებით უნგრეთში გამოვიდა „ქართველ მწერალთა ანთოლოგია“ და სხვა სპეციალური ლიტერატურა.

დიდად მეამაყება მოძმე უნგრეთის ეს მაღალი ჯილდო. მე მას აღვიქვამ როგორც საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების მუშაობის დიდ დაფასებას და პირადად ჩემი შემდგომი მოღვაწეობის სტიმულად მიმაჩნია.

(„კომუნისტის“ კორ.).

ხელოვნებისა და შრომის კავშირი

კულტურის ოსტატები — სოფლის სცენაზე

„მუსიკალური თბილისის ექო“, „მუსიკალური შეხვედრები“, „თანამედროვეობა და მუსიკა“ — ასე ეწოდა თემატიკური საღამოების ციკლებს, რომლებიც სახელმწიფო ფილარმონიასთან ერთად დაგეგმა საქართველოს კულტურის სამინისტრომ რესპუბლიკის სოფლის მშრომელებისათვის. შემუშავებულია ვრცელი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო რაიონების, მეტადრე მთის რეგიონების კულტურულ მომსახურებას.

მუსიკალური კოლექტივების, ცნობილი სოლისტებისა და სოფლის მშრომელების შეხვედრები კარგ ტრადიციად დამკვიდრდა. მაგრამ მომდინარე წელს — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის წელს, რომელიც გამოსცემების შინაარსსა და თემატიკურ მიმართულებას განსაზღვრავს, ამ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო ადგილობრივი კოლექტივები, არამედ აგრეთვე რუსეთის სფს რესპუბლიკიდან, სხვა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული საუკეთესო ანსამბლები და შემსრულებლები.

საქართველოს კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი საგულისხმო მოვლენა გახდება „რუსული მუსიკის კვირეული“. რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებები, უკვდავი კლასიკა აჟღერდება არა მარტო თბილისში, არამედ სოფლის სცენაზეც.

ბოლნისში, გარდაბანში, დმანისში, მარნეულში, თეთრწყაროში, წალკაში გაიმართება ქართველ კომპოზიტორთა საავტორო საღამოები თემაზე: „თანამედროვეობა და მუსიკა“. ამ ციკლის პირველი კონცერტები უკვე მოეწყო თელავსა და საგარეჯოში, სოფლის მშრომელებმა გულთბილად მიიღეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი.

— „ხელოვნებისა და შრომის კავშირის“ მოძრაობასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში სოფლის მშრომელთა კულტურული მომსახურების ბევრი სანტერესო ფორმა იშვა, — აცნობეს საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს კულტურის სამინისტროში. — თუ წინათ რამდენადმე სჭარბობდა საესტრადო მუსიკა, ახლა ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ კლასიკური მუსიკის პროპაგანდას, რომლის სოფლად დამკვიდრება მშრომელ ადამიანთა სულიერი ზრდის მაჩვენებელია.

იმისათვის, რომ სიმფონიური მუსიკის კონცერტებს დაესწრონ, თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის მეგენახეებს არ უხდებათ თბილისში სიარული. სოფლის კულტურის სახლში წარმატებით მიმდინარეობს რესპუბლიკის დამსახურებული კოლექტივის — საქართველოს სიმფონიური ორკესტრის გამოსვლები.

სოფლის სცენაზე გამოსვლა დიდ პატივად მიაჩნიათ რესპუბლიკის ისეთ სახელოვან კოლექტივებს როგორიც არის კამერული ორკესტრი რესპუბლიკის სახალხო არტისტის, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით, სახელმწიფო სიმღერიანი კვარტეტი, ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსთავი“ და სხვა. სოფლის ახლანდელი საკონცერტო სეზონის აფიშებს მათი სახელი დაამშვენებს.

თელავში, სიღნაღში, მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში გამოვლენ საქართველოს სახალხო არტისტი, ვიოლონჩელისტი თამარ გაბარაშვილი, მოსკოვის კამერული ორკესტრი, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მევიოლინე ვ. პიკაიზენი, სომხეთის სახალხო არტისტი, ვიოლონჩელისტი მ. აბრამიანი, სომხეთის სეხტრაფო ანსამბლი „ერებუნი“. (საქინფორმი).

დრო, მოვლენები, ამბები

სემინარზე იმსჯელეს

თბილისში ჩატარდა ექვმ ანგიოლოგთა პირველი რესპუბლიკური სემინარი, რომელიც მიეძღვნა სისხლძარღვთა პათოლოგიით დაავადებული ავადმყოფების მკურნალობასა და სპეციალიზირებული დახმარების საშუალებების სრულყოფას თანამედროვე ეტაპზე. სემინარის მუშაობაში წამყვან სპეციალისტ ანგიოლოგებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებისა და ამბულატორიული რკინიგზის სამედიცინო სამსახურის ქირურგები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორები.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ვ. პაკოვსკიმ.

განხილული იქნა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება ანგიოლოგიური და მიკროქირურგიული სამსახურის შესახებ, რომელიც ეხება რაიონული საავადმყოფოებისთვის კვალიფიცირებული კადრების მომზადებას, სისხლძარღვთა დაავადებების დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების დანერგვას და მკურნალობას, რესპუბლიკაში სისხლძარღვთა პათოლოგიის გავრცელების შესწავლას, ავადმყოფთა დისპანსერიზაციას და სხვა.

მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის მთავარი ანგიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნ. კ. ბოხუა.

სემინარის მუშაობამ არსებითი წვლილი შეიტანა ჩვენს რესპუბლიკაში ანგიოლოგიური სამსახურის შემდგომი განვითარების საქმეში.

კ. პარკაძე.

„ერთად მხოლოდ ერთად“

სამედ ვურღუნის ლექსიდან „ფიქრები გაზაფხულზე“ ამოღებული ეს სიტყვები — თანამოკალმეებისადმი დატოვებული პოეტური ანდერძი — აზერბაიჯანელ და ქართველ ლიტერატორთა შემოქმედებითი თანამეგობრობის თავისებური კამერტონია. მომძე ლიტერატურათა მეგობრობის ტრადიციების ერთგული ქართველი მწერლები შობლიურ ენაზე თარგმნიან მომძე ხალხის მრავალსაუკუნოვანი და მშვენიერი სულიერი კულტურის საუკეთესო ქმნილებებს, თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებებს. რესპუბლიკის თითქმის ყველა გამომცემლობის გეგმაშია მხატვრული სიტყვის აზერბაიჯანელ ოსტატთა წიგნების გამოცემა.

ამ დღეებში მკითხველმა ქართულ ენაზე მიიღო აზერბაიჯანის სახალხო მწერლის მირზა იბრაჰიმოვის რომანი „ფარვანა“, რომელიც თარგმნეს ლეილა ერაძემ და დიმიტრი გულისაშვილმა. მათვე თარგმნეს და ქართველ მკითხველს გააცნეს ისმაილ შიხლის რომანი „ბობოქარი მტკვარი“ და ჯალალ მამედოვის მოთხრობები. წიგნის მოყვარულთა ბიბლიოთეკის თაროებზე გამოჩნდა ჯაბირ ნოვრუზისა და ნარიმან ჰასანზადეს ლექსების კრებულები, რომლებიც ლეილა ერაძემ თარგმნა.

— მტკიცე მეგობრობა აკავშირებს აზერბაიჯანისა და საქართველოს ლიტერატორებს, — თქვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ციციშვილმა. — ამ მეგობრობის ფესვები შორეულ წარსულშია და მას ამშვენებს ორივე ხალხის დიდებულ შვილთა სახელები. ამას დამაჯერებლად მოწმობს ისტორიის ბევრი გაუხუნარი ფურცელი... სახელოვანი წინაპრების კეთილშობილურ ტრადიციებს შესანიშნავად აგრძელებენ ჩვენი ეპოქის მწერლები.

ჩვენს რესპუბლიკაში გამოიცა უკვდავი კლასიკოსების ნასიმის, ვაგიფის, ნიზამის ლექსთა კრებულები — ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ძმობის თავისებური ანთოლოგიები.

ქართველი მწერლები ნამდვილად ბევრს და ნაყოფიერად მუშაობენ აზერბაიჯანული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნაზე. პოეტ ლეილა ერაძის აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა აღიარებას იმსახურებს. მარტო იმ წიგნების ნუსხა, რომლებიც მან ბოლო წლებში თარგმნა, აზერბაიჯანული ლიტერატურის მთელ „ზღვას“ შეადგენს. აქ არის ილიას ეფენდიევისა და ჰასან სეიდ-ბეილის, ისა ჰუსეინოვისა და ალევეი ბაბაევას პროზა, სამედ ვურღუნისა და მამედ რაჰიმის, ოსმან სარიველისა და ნაბი ხაზრის პოეზია. მისივე თარგმანით აზერბაიჯანულ ენაზე აქღერდა ქართველ პროზაიკოსთა და ლირიკოსთა ბევრი თხზულება. ამ ღვაწლის დაფასებაა ის, რომ ლეილა ერაძეს მარშან აზერბაიჯანის სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა.

ჩვენი თანამეგობრობის შთამბეჭდავი სიმბოლო სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში გახდა ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის სახლი, რომელიც შარშან შემოდგომაზე მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადების 170 წლისთავის დღეს გიიხსნა თბილისის ძველ უბანში, იგი აზერბაიჯანელი ხალხის კულტურის თავისებური ცენტრია საქართველოს დედაქალაქში.

ორი რესპუბლიკის მხატვრული სიტყვის მზარდი კონტაქტები ემსახურება მომძე ლიტერატურათა ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, — თქვა დასასრულ გიორგი ციციშვილმა. — დაე მარად ყვაოდეს პოეზიის ხე და ხოტბას ასხამდეს ხალხთა ლენინურ მეგობრობას, საბჭოეთის მშრომელთა ურღვევ კავშირს.

(საქინფორმი).

ფიგნის თარო

„მიხმობს, მეძახის საქართველო“!

ანდა სხვაგვარად როგორ იქნება! სამშობლოსაგან (თანაც, თუ ეს სამშობლო საქართველოა). მოშორებული კაცის მშობლიური ცისა და მიწის ტრფიალში სევდაც ურევია ხოლმე. ამიტომაც ბუნებრივია ის მძიფრი, სწორედ სევდიანი სიყვარული მამულისადმი, ასე ძალუმად რომ მყოვნდება პოეტ რაულ ჩილაჩავას ლექსების ახალ კრებულში „ბორჯალი“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა: „ჩვენ გვასწავლდნენ, არ გვქონოდა გმირობის შიში, ჩვენ მომავლისთვის არასოდეს გვიღალატია. ვაშენებთ მამულს, მასზე ვფიქრობთ ცხადად თუ ძილში, რადგან არ არის უკვდავების სხვა გარანტია!“.

„ჩემი ქართული სიზმრების გვერდით მე უკრაინულ სიზმრებსაც ვხედავ“ — ქართველი პოეტის ეს უშუალო სტრიქონები მაშინვე მიგვანიშნებს ავტორის ბიოგრაფიაზე, ხოლო როცა იგი შემდგომ თავის სხვა ლექსში ასევე ლამაზად იტყვის, „ვით საყვარელი დიაცის ტუჩებს, მე შევეჩვივე კიევის ქუჩებსო“, ჩვენ წინ წარმოგვიდგება აწალგაზრდა ქართველი შემოქმედი, რომლისთვისაც უსაზღვროდ საყვარელი გამხდარა ჩვენი მომძე საბჭოთა უკრაინის მიწა — წერს წიგნისადმი წამძღვარებულ წერილში „ორიოდე სიტყვა წინასიტყვაობის მაგიერ“ პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე და შემოქმედების ფართო გზას ულოცავს წიგნის ავტორს ქართველი მკითხველის გულისაკენ.

„ანდა სხვაგვარად როგორ იქნება! სამშობლოსაგან (თანაც, თუ ეს სამშობლო საქართველოა). მოშორებული კაცის მშობლიური ცისა და მიწის ტრფიალში სევდაც ურევია ხოლმე. ამიტომაც ბუნებრივია ის მძიფრი, სწორედ სევდიანი სიყვარული მამულისადმი, ასე ძალუმად რომ მყოვნდება პოეტ რაულ ჩილაჩავას ლექსების ახალ კრებულში „ბორჯალი“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა: „ჩვენ გვასწავლდნენ, არ გვქონოდა გმირობის შიში, ჩვენ მომავლისთვის არასოდეს გვიღალატია. ვაშენებთ მამულს, მასზე ვფიქრობთ ცხადად თუ ძილში, რადგან არ არის უკვდავების სხვა გარანტია!“.

„ჩემი ქართული სიზმრების გვერდით მე უკრაინულ სიზმრებსაც ვხედავ“ — ქართველი პოეტის ეს უშუალო სტრიქონები მაშინვე მიგვანიშნებს ავტორის ბიოგრაფიაზე, ხოლო როცა იგი შემდგომ თავის სხვა ლექსში ასევე ლამაზად იტყვის, „ვით საყვარელი დიაცის ტუჩებს, მე შევეჩვივე კიევის ქუჩებსო“, ჩვენ წინ წარმოგვიდგება აწალგაზრდა ქართველი შემოქმედი, რომლისთვისაც უსაზღვროდ საყვარელი გამხდარა ჩვენი მომძე საბჭოთა უკრაინის მიწა — წერს წიგნისადმი წამძღვარებულ წერილში „ორიოდე სიტყვა წინასიტყვაობის მაგიერ“ პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე და შემოქმედების ფართო გზას ულოცავს წიგნის ავტორს ქართველი მკითხველის გულისაკენ.

აპარის შავი ზღვის სანაპიროზე სრული დატვირთვით მუშაობენ ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერები. წლის დამდეგიდან დაახლოებით ხუთასმა კაცმა უკვე დაიხვენა მახინჯაურის პანსიონატ „მზიურში“, კერძოდ შვიბენელებმა წლის ბოლომდე ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული კიდევ ხუთი ათასი მშრომელი გაატარებს.

დღეს „მზიურში“ ისვენებენ უკრაინის, ლატვიის, შუა აზიის რესპუბლიკების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელები.

სურათზე: აქტიუბინსკელი მქსოველი გულჯამალ ამანბაევა, კიეველები—მუშა იგორ კრიეევი, მედდა ნინო მაკოვენკო და სტუდენტი ირინე ზილი პანსიონატ „მზიურში“.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 99-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, აღგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; ბორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

ტელევიზია

3 მარტი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — გამოგვეხმაურეთ, მებუკენო! 10.30 — მოგზაურთა კლუბი. 11.30 — შორეული და ახლოესი სამყარო. 12.15 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — კომკავშირი ჩემი ბედია. 17.05 — პოეზია. 17.30 — ხალხური მელოდიები. 17.45 — მხიარული სტარტები. 18.30 — საჭადრაკო სკოლა. 19.00 — მიღიონთა ლენინური უნივერსიტეტი. პედაგოგის როლი პიროვნების აღზრდაში. 19.30 — ყოველ ნახატში მზეა. 19.45 — ფილმ მსოფლიოში. 20.00 — მეცნიერება და ცხოვრება. 20.30 — „ფაშისტი დამნაშავენი და მათი მფარველები“. გამოდის სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ი. გუსევი. 20.45 — „რევოლუციის მომღერალი“. მხატვრული ტელეფილმი. მესამე სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „სამშობლო, რომელიც მომპარეს“. დოკუმენტური ტელეფილმი. 23.35—დღეს მსოფლიოში. 23.50—ევროპის ჩემპიონთა თასი კალათბურთში. ვაჟები. ცსკა-იუგოსლავიის „ციბონა“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი „დაპქრიან ბამზე მატარებლები“. 9.35 და 10.35 — ზოგადი ბიოლოგია. მე-10 კლასი. 10.05 და 12.35 — ესპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ა. ბლოკი „თორმეტნი“. 11.35 და 12.40 — ზოოლოგია. მე-7 კლასი. 12.00 დედის სკოლა. 12.30 და 14.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 13.05 — ისტორია. მე-6 კლასი. 14.15 — ი. ა. გონჩაროვი. ცხოვრება და შემოქმედება. 15.00 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „მდიდინდნენ ჯარისკაცები“. 16.35 — ახალი ამბები. 20.00 — სსრ კავშირის თასი ფეხბურთში. მერვედფინალი. შესვენებისას (20.45) — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.45 — წყალბურთი. ალმა-ათის „დინამო“-სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცსკა. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ტელეფილმი.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (8.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი გაზაფხულის ბაღი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — „მოგზაურთა კლუბი“ (8.). 11.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კამათში გამოსვლა“. 12.10 — მხატვრული ფილმი „მამა და შვილი“ პირველი სერია. 13.30 — ამბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პამირის ტრასები“. 16.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.45 — ბავშვებისათვის — სატელევიზიო კინოდგარაზი „ცისკარა“. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დღეს მანეჟზეა“ და მულტიპლიკაციური ფილმი „დიდი ესტაფეტა“. 17.35 — მოსწავლეთათვის — მღერის „იმედი“. 18.10 — „ჩვენი სტუმარია ჟურნალი „პიონერი“. 19.00 — კინონარკვევი. 19.20 — მხატვრული ფილმი „მამა და შვილი. მეორე სერია. 20.45 — „მოამბე“. 21.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კუზმა პეტროვ-ვოდკინი“. 21.30 — უკრავს საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრი. 22.00 — „ვრემია“ (8.). 22.35 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე. ქუთაისის „ტორპედო“-ვოლგოგრადის „როტორი“ 24.05 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გროდნო, სექტემბერი“. 17.35 — მოსწავლეთათვის — „ქიმია“. 18.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 18.30 — მასწავლებლის საათი — რუსული ენა.

თეატრი

3 მარტი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დაკრძალვა კალიფორნიაში (თბილისის მასობრივი ბიბლიოთეკის გაერთიანებული კომიტეტის თანამშრომლებისათვის); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ალსარება.

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

ვამრძელებთ საუბარს სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადისათვის მზადების თაობაზე. დღევანდელი თემაა ძალოსნობა. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს ძალოსნობაში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვლადიმერ სვეტილკოს. აი რა გვითხრა მან:

ძალოსნობა

— **უკვე კარგა ხანია საქართველოს ძალოსანთა ნაკრები რესპუბლიკის სპორტკომიტეტის კოლეგიის მიერ დამტკიცებული გეგმისა და გრაფიკის მიხედვით ვარჯიშობს. ჩვენ შარშანდლიდან შევუდექით ცენტრალიზებულ მზადებას სსრ კავშირის ხალხთა მერვე საზაფხულო სპარტაკიადისათვის. ძალოსანთა გუნდს ხელმძღვანელობენ უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. წერეთელი, მწვრთნელები რ. გურგენიძე, გ. კოჩიევი და ო. დემეროვი. ჩვენი რესპუბლიკის ძალოსანთა ნაკრების საბოლოო შემადგენლობას ძირითადად საქართველოს მერვე სპარტაკიადის შედეგების მიხედვით განვსაზღვრავთ.**

1979 წელს სსრ კავშირის ხალხთა მეშვიდე საზაფხულო სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის ძალოსანთა ნაკრებს დიდი ჩავარდნა ჰქონდა — მეთხუთმეტე ადგილს დასჯერდა. წლეულს პირველი ათეულში მოხვედრას ვვარაუდობთ. შარშან მარნეულელმა ძალოსანმა ა. ჩიტაძემ, ფაიმეორეა, ხოლო ცხინვალელმა ა. მედოევმა და თბილისელმა რ. ნიკს, იმავე რ. ჩიმიშკიანსა და დ. შანიძეს. აღნიშნული სპორტსმენები, აგრეთვე მ. ჟღენტი და გ. კოჩიევი, არაერთხელ ყოფილან ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები. სსრ კავშირის თასის მფლობელი იყო ა. ჯეჯელავა.

სსრ კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე (1956 წელს) საქართველოს ნაკრებმა დაიკავა მეცხრე ადგილი, მეორეში (1959) — მეექვსე, მესამეში (1963) — მეშვიდე, მეოთხეში (1967) — მეშვიდე, მეხუთეში (1971) — მეექვსე, მეექვსეში (1975) — მეთერთმეტე, მეშვიდეში (1979) — მეთხუთმეტე ადგილი. 1971 წლის სპარტაკიადის ჩემპიონი გახლდათ დ. შანიძე. იგი სამჭიდაში, ატაცსა და აკვრაში ქვემსუბუქი წონის ათლეტებს შორის უძლიერესი იყო.

ტონოგოგონიანმა პირველად შეასრულეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. ამრიგად, ახლა გუნდში სამი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გვყავს. რესპუბლიკის პირველი გუნდის წევრია აგრეთვე სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატი, ახალგაზრდა თბილისელი ძალოსანი შ. სარჭიანი.

ჩვენი აზრით, 75 კგ წონითს კატეგორიაში საარჩევნო ადგილის მოპოვება ძალუძს ა. ჩიტაძეს. 100 კგ წონითს კატეგორიაში კი ხუთ საუკეთესოს შორის დამკვიდრება შეუძლია ა. მედოევს. 90 კგ წონაში მეექვსე ან მეშვიდე შედეგის ჩვენება შეუძლია რ. ტონოგოგონიანს. ასევე ჩასათვლელი ქულების მოპოვებას ვვარაუდობთ 110 კგ წონითს კატეგორიაში. ამ წონაში იასპარეზებს რ. ძიმისტარაშვილი.



სახეობის საკვიზიტო გარათი

საქართველოს სპორტის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერა გიორგი ჩიკვაიძემ. მან 1915 წელს პირველად საქართველოში მსოფლიო რეკორდი დაამყარა ქვემსუბუქ წონაში ცალი ხელით აკვრაში. ძალოსნობა 1896 წელს შეიტანეს პირველი ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამაში. პირველი საკავშირო ჩემპიონატი გაიმართა 1922 წელს, საქართველოს პირველი ჩემპიონატი კი 1927 წელს. საქართველოდან მსოფლიოს ჩემპიონობა აქვთ მოპოვებული რ. ჩიმიშკიანსა (1954-1955 წლებში) და დ. შანიძეს (1969 და 1973 წ.). 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიადაში გაიმარჯვა რ. ჩიმიშკიანმა. მსოფლიო ჩემპიონატებში სხვადასხვა დროს საჭრიზო ადგილები აქვთ დაკავებული საქართველოს სპორტსმენებს ვ. სვეტილკოს, მ. კასიანა.

ძნელი მაჯჩი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩი

„დინამო“ (კიევი)-„ჰამბურგი“ (ბგრ) — 0:8 (0:1).

3. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონი. 2 მარტი. 1 გრადუსი სითბო. 28.000 მაყურებელი.

მსაჯები — ბარბარესკუ, ლომბარდო, ლანზე (ყველანი — იტალია).

„დინამო“: ჩანოვი, ბესონოვი, ბალტაჩა, სოროკალეტი, დემიანენკო, დუმანსკი (ოლეფირენკო, მე-40 წუთზე), ბურიაკი, ბალი, ზავაროვი, ევტუშენკო (ლოზინსკი, 55-ე წუთზე), ხლოხინი.

„ჰამბურგი“. შტაინი, კალცი, ვემაიერი, იაკობი, ჰირონიმუსი, ჰარტვიგი, როლფი, გრო, ხრუბეში, მაგათი, ბასტრუპი.

გოლები გაიტანა ბასტრუპმა (მე-5, 52-ე და 70-ე წუთებზე).

გაფრთხილებულია ხრუბეში.

თავდაპირველად ორივე გუნდმა თამაშის ძირითადი აქცენტი შეტევაზე გადაიტანა. განსაკუთრებით პირველ ტაიმში, ერთიც და მეორეც თავდაცვით ხაზებში დიდხანს არ აყოვნებდა და სწრაფად გადადიოდა საიერიშო მოქმედებაზე. მეორე ტაიმში ჰამბურგელები ამ ტაქტიკის ერთგულნი დარჩნენ და დასაჯულ ამოცანასაც კარგად გაართვეს თავი, კიეველთა ურთიერთმოქმედებაში კი სიზუსტე შესამჩნევად დაირღვა. ამასთან ჰამბურგელებმა კარგად აუღეს ალღო მეტოქეთა ტაქტიკურ ჩანაფიქრს. რაც იმითაც გამოიხატა, რომ კიეველებმა მთელი ყურადღება ხრუბეშისა და მაგათის უვნებელყოფაზე გადაიტანეს. ამ დროს კი თითქმის უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ბასტრუპმა თავისუფლად მანევრირების შესაძლებლობა მიიღო და აკი სამივე გოლიც მან გაიტანა.

ჰამბურგელთა გამარჯვება იმანაც განაპირობა, რომ მათთვის საფეხბურთო სეზონი კარგა ხანია დაიწყო, კიეველებს კი ამ პასუხსაგებმა მატჩმა სეზონის დასაწყისში მოუწიათ.

შეხვედრის შემდეგ ჰამბურგელთა მწვრთნელმა ე. ჰაპელმა განაცხადა: — 3:0 ნახევარფინალში გასვლის ტოლფასად მეჩვენება.

ს. დევიძე.

ფეხბურთი

საფეხბურთო კალეიდოსკოპი

„მატჩი“ ნოიბერგერი — დერვალი

როგორც ჰამბურგის ჟურნალი „შპიგელი“ იუწყება, გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოიბერგერი ძალიან ჩაცევდა ეროვნული ნაკრების მწვრთნელ დერვალს. პრეზიდენტის მიზანია, რადაც უნდა დაუჯდეს, მწვრთნელი აიძულოს გადადგეს. დერვალის დათხოვნის ფორმალური მიზეზები ნოიბერგერს არა აქვს (პირველი ადგილი ევროპის ჩემპიონატში, მეორე — მსოფლიო ჩემპიონატში), მაგრამ თავისი მომხრე ჟურნალისტების მეშვეობით განუწყვეტლივ თავს ესმის მას, „უსაფრდება“ თითოეული მატჩის შემდეგ.

პესაოლა გადაარჩენს?!

როგორც ცნობილია, პოპულარული კლუბი „ნაპოლი“ იტალიის ფეხბურთელთა ჩემპიონატში კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდა — არც მეტი, არც ნაკლები, მას პირველი ლიგის დატოვება ემუქრება. გუნდის მესვეურებმა მიმართეს ასეთ ვითარებაში ჩვეულებრივ ღონისძიებას — მწვრთნელი შეცვალეს და „ნაპოლის“ სათავეში ჩაუყენეს მრავალნაცადი, ჩინებული რეპუტაციის მქონე ბრუნო პესაოლა.

ნეაპოლში პესაოლას უკვე უყურებენ, როგორც გმირს — მისი ხელმძღვანელობით „ნაპოლიმ“, რომელიც მანამდე წამდაუწუმ აგებდა, 9 მატჩ